

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის
სოციალური სტატისტიკის სამმართველოს**

დებულება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქსტატის სოციალური სტატისტიკის სამმართველოს სტატუსს, საქმიანობის წესს, ფუნქციებს, უფლებამოვალეობებს, ფუნქციონირების ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში – საქსტატი) სოციალური სტატისტიკის სამმართველო (შემდგომში – სამმართველო) წარმოადგენს საქსტატის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც შექმნილია საქსტატის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით.
2. სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონით, საქართველოს მოქმედი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, საქსტატის ხელმძღვანელი ორგანოების სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. სამმართველო მის კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების შესრულებისას მოქმედებს საქსტატის სახელით.
4. სამმართველოს ფუნქციები და საქმიანობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
5. სამმართველო ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი დირექტორის ან/და აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილი მოადგილის წინაშე.

მუხლი 2. სამმართველოს ფუნქციები

სამმართველოს ფუნქციებს განეკუთვნება:

- ა) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;
- ბ) მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ეკონომიკური აქტივობის სტატუსის (დასაქმების, უმუშევრობის) ამსახველი სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშება;
- გ) შრომის (დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურების შესახებ) სტატისტიკური გამოკვლევის დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

დ) სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროს (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სამართლებრივი, გენდერული და ა.შ.) ამსახველი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება;

ე) ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის და უცხოელ ვიზიტორთა კვლევების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება.

ვ) სოციალურ სფეროს მიკუთვნებული სხვა სტატისტიკური გამოკვლევების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება.

მუხლი 3. სამმართველოს სტრუქტურა

1. სამმართველოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილება;

ბ) შრომის სტატისტიკის განყოფილება;

გ) სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილება;

დ) ტურიზმის კვლევების განყოფილება.

2. სამმართველოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებია:

ა) შინამეურნეობათა გამოკვლევების განყოფილება:

ა.ა) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;

ა.ბ) კომპეტენციის ფარგლებში, კვლევებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და საქსტატის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

ა.გ) საქსტატის ხელმძღვანელისა და სამმართველოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

ბ) შრომის სტატისტიკის განყოფილება:

ბ.ა) ეკონომიკური აქტივობის სტატუსის (დასაქმების, უმუშევრობის) ამსახველი სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშება;

ბ.ბ) შრომის (დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურების შესახებ) სტატისტიკური გამოკვლევის დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება

ბ.გ) კომპეტენციის ფარგლებში, კვლევებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და საქსტატის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

ბ.დ) საქსტატის ხელმძღვანელისა და სამმართველოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

გ) სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილება:

გ.ა) სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროს (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სამართლებრივი, გენდერული და ა.შ.) ამსახველი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება;

გ.ბ) კომპეტენციის ფარგლებში, კვლევებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და საქსტატის ხელმძღვანელისათვის წარდგენა

გ.გ) საქსტატის ხელმძღვანელისა და სამმართველოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

დ) ტურიზმის კვლევების განყოფილება:

დ.ა) ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმისა და უცხოელ ვიზიტორთა კვლევების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება.

დ.ბ) კომპეტენციის ფარგლებში, კვლევებთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება და საქსტატის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

დ.გ) საქსტატის ხელმძღვანელისა და სამმართველოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

მუხლი 4. სამმართველოს უფლება-მოვალეობები

1. სამმართველო წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისას უფლებამოსილია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქსტატის საქმიანობასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე მოამზადოს და წარადგინოს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია და დოკუმენტაცია საქსტატის სტრუქტურაში შემავალი სამსახურებისა და თანამშრომლებისგან;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაუწიოს კონსულტაცია საქსტატის ხელმძღვანელ ორგანოებს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მოქალაქეებისა და იურიდიული პირების განცხადებების განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

ე) განახორციელოს სხვა მოქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას.

2. სამმართველო ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე დებულებით დაკისრებული ფუნქციების ჯეროვანი შესრულება;

ბ) საჭიროების შემთხვევაში საქსტატის ხელმძღვანელ ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

გ) შეასრულოს საქსტატის ხელმძღვანელი ორგანოს მითითებები და დავალებები.

მუხლი 5. სამმართველოს ხელმძღვანელობა

1. სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე. სამმართველოს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აღმასრულებელი დირექტორი.

2. სამმართველოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამმართველოს საქმიანობას;

ბ) ორგანიზებას უწევს და პასუხისმგებელია სამმართველოზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

გ) სამმართველოს სპეციალისტებს აძლევს სათანადო მითითებებსა და დავალებებს, აკონტროლებს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;

დ) შეაქვს წინადადებები საქსტატის ხელმძღვანელ ორგანოებში სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სათანადო გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი აქტების მისაღებად;

ე) ხელს აწერს და აძლევს ვიზირებას სამმართველოს მიერ შემუშავებულ და მომზადებულ აქტებს;

ვ) ანგარიშს წარუდგენს აღმასრულებელ დირექტორს ან კურატორ მოადგილეს სამმართველოს საქმიანობის შესახებ;

ზ) წყვეტს სამმართველოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

3. სამმართველოს უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სამმართველოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულებაში ცვლილების ან დამატების შეტანა ხორციელდება მისი დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

2. წინამდებარე დებულების რომელიმე დებულების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას დებულების სხვა ნორმების ნამდვილობაზე. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებაში, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.